ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 106

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე – მეველეს ქუჩა № 15ა-ში) პირდაპირი
განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში
გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 24.10.2019 წლის №5/62532, 28.06.2021 წლის №5/39697, 06.07.2022 წლის №5/38135 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივლისის №44-4422201367 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის საკუთრებაში სასყიდლით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.500; ფართობი: 126.21 კვ.მ.).
2. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.502; ფართობი: 10.02 კვ.მ.).
3. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.504; ფართობი: 129.65 კვ.მ. და 76.74 კვ.მ.).
4. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.505; ფართობი: 79.32 კვ.მ.).
5. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.506; ფართობი: 76.74 კვ.მ.).
6. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.507; ფართობი: 125.40 კვ.მ.).
7. ქალაქ ქუთაისში, მიქელაძე-მეველეს ქუჩა №15ა-ში მდებარე შენობა – ნაგებობის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.02.21.563.01.508; ფართობი: 19.27 კვ.მ.).

201

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო